შარდის შუა ნაკადის შეგროვება

ინფორმაცია პაციენტებისთვის

თქვენმა ექიმმა დაგინიშნათ კვლევა, რომლისთვისაც საჭიროა შარდის შუა ნაკადის შეგროვება.

შარდის შუა ნაკადის შეგროვება ხდება არა შარდვის დასაწყისში, არამედ უკვე გამდინარე შარდის ნაკადიდან.

მნიშვნელოვანია სინჯი სწორად შეგროვდეს.

ამ გზამკვლევში ვეცდებით აგიხსნათ: როგორ შეაგროვოთ შარდი, მონიშნოთ სინჯები და სწორად შეინახოთ გამოკვლევამდე.

ლაბორატორიისგან დაგჭირდებათ:

- შარდის შესაგროვებელი ერთჯერადი კონტეინერი

როგორ ხდება შარდის შუა ნაკადის შეგროვება?

რა უნდა იცოდეთ:

- თუ შესაძლებელია, შარდის შუა ნაკადი უნდა შეგროვდეს გაღვიძებისთანავე, პირველივე მოშარდვისას; სხვა შემთხვევაში, მოშარდვებს შორის ინტერვალი უნდა იყოს სულ მცირე 4 საათი.
- სქესობრივ კავშირს მოერიდეთ შარდის აღებამდე ერთი დღით ადრე;
- პირველ რიგში, შარდის შესაგროვებელ კონტეინერს, დააწერეთ: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, შარდის აღების თარიღი და დაიდეთ ახლოს, ხელმისაწვდომ ადგილას;



- ხელები კარგად დაიბანეთ საპნითა და წყლით და გაიმშრალეთ სუფთა ხელსახოცით.

პროცესის აღწერა

1. დაიბანეთ სასქესო ორგანოები



ქალები: ერთი ხელით გადაწიეთ სასქესო ბაგეები და კარგად დაიბანეთ გამდინარე, თბილი წყლით (საპნის გარეშე), მიმართულებით: წინიდან → უკან. შემდეგ გაიმშრალეთ სუფთა ხელსახოცით. შარდის აღების დასრულებამდე გადაწეული გქონდეთ სასქესო ბაგეები. მენსტრუაციის დროს შარდის აღება რეკომენდებული არ არის. აუცილებლობის დროს, საჭიროა ტამპონის გამოყენება.

კაცები: მთლიანად გადაწიეთ ჩუჩა და ასოს თავი კარგად დაიბანეთ გამდინარე, თბილი წყლით (საპნის გარეშე). შემდეგ კარგად გაიმშრალეთ სუფთა ხელსახოცით. შარდის აღების დასრულებამდე ჩუჩა გქონდეთ გადაწეული.

2. შეაგროვეთ შარდის შუა ნაკადი

დაიწყეთ მოშარდვა ტუალეტში, დაახლოებით 3 წამის განმავლობაში. შემდეგ შეაგროვეთ, დაახლოებით, 20-30 მლ შარდი შარდის ერთჯერად კონტეინერში, ნაკადის შეწყვეტის გარეშე. შარდის კონტეინერი არ უნდა ეხებოდეს სხეულს. შარდის კონტეინერი მოაცილეთ შარდის ნაკადს შარდვის დასრულებამდე. მოშარდვა დაასრულეთ ტუალეტში.

3. შარდის კონტეინერს ფრთხილად და მჭიდროდ დაახურეთ თავსახური

აღებული მასალა დროულად მიიტანეთ ლაბორატორიაში. ლაბორატორიაში მიტანამდე შეინახეთ გრილ ადგილას ან მაცივარში (2 - 8^{0}C).